შპს "ტელეკომპანია პირველის" ს/ნ 405034190 თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის, ირმა ჯანჯღავას პ/ნ 39001024459 წარმომადგენლის ადვოკატ ბესარიონ ბოჭორიშვილის მიერ შპს „ტელეკომპანია პირველის" თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში 2024 წლის 29 მარტს წარმოდგენილ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით

10 მაისი 2024 წელი

თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს თავმჯდომარე: ნათია კაპანაძე
თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს წევრი: გიორგი მშვენიერაძე
თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს წევრი: ანნა ლაპიაშვილი
დაინტერესებული პირი: ირმა ჯანჯღავა
დაინტერესებული პირის წარმომადგენელი: ბესარიონ ბოჭორიშვილი
სადავო მასალის ავტორი: თამთა დოლენჯაშვილი

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ტელეკომპანია პირველის" თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში (შემდგომში - სააპელაციო ორგანო) წარმოდგენილია დაინტერესებული პირის, ქალბატონ ირმა ჯანჯღავას (პ/ნ 39001024459) წარმომადგენლის ადვოკატ ბესარიონ ბოჭორიშვილის 2024 წლის 29 მარტის სააპელაციო საჩივარი. საჩივარი ეხება 2023 წლის 28 ოქტომბერს „ტელეკომპანია პირველის" ეთერში გადაცემაში „ნოდარ მელაძის შაბათი" წარდგენილ მასალას.
დაინტერესებული პირი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნებია (ამონარიდი განაცხადიდან):

1. ვითხოვთ, მაუწყებლის ტელეკომპანია პირველის ჟურნალისტური გამოძიების გადაცემაში, „ნოდარ მელაძის შაბათი" 28.10.2023 წ., გადაცემის დაწყების შემდეგ 1:40:30 სთ.–დან 2:00:00 –მდე გასულ, ჟურნალისტ თამთა დოლენჯაშვილის, ი.ჯანჯღავას მიმართ ცილისმწამებლური, ცრუ ინფორმაციის შემცველ სიუჟეტთან დაკავშირებით(https://tvpirveli.ge/ka/gadacemebi/36-nodar-meladzis-shabati/2772-nodar-meladzis-shabati-28-oqtomberi2023 რომელიც შემდგომ youtube -ის არხზეც დაიდო სათაურით „ტრეფიკინგის მსხვერპლი ქართველები"https://www.youtube.com/watch?v=cXO და გამოქვეყნდა ფეისბუქ გვერდზე „ერთმანეთისთვის ევროპაში" https://www.facebook.com/share/v/JPoSbWkndERXuDUb/)

ფაქტობრივი ინფორმაციის შესწორებას აქ წარმოდგენილი გადაცემის წუთობრივი ანალიზის საფუძველზე და ჩვენს მიერ ტვ1 –ში გაგზავნილი განცხადების შესაბამისად, რომლის ტვ1–ში რეგისტრაციის წომერია 200231205–1ა და ვითხოვთ ამასთან

დაკავშირებით, ტელეკომპანია პირველის თვითრეგულირების 13.12.2023 წ. კრების ოქმის #11, გადაწყვეტილების ბათილობას(გაუქმებას)

2. ვითხოვთ, მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს სხდომის გამართვამდე შეთანხმდეს სამომრიგებლო (სამედიაციო) შეხვედრის პირობები მხარეთა შორის და ჩატარდეს სამომრიგებლო შეხვედრა მხარეთა შორის. ხოლო ამ საჩივრის ჩაბარებიდან 1 კვირის განმავლობაში შეთანხმებისა და/ან მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში, თვითრეგულირების სააპელაციო ორგანომ დაუყოვნებლივ განიხილოს ეს სააპელაციო საჩივარი.

3. მაუწყებელმა ტელეკომპანიამ ტვ.1–მა შეასწოროს სრულად ინტერნეტსივრცეში და მათ შორის იუთუბის სოცქსელში ცრუ ინფორმაციის შემცველი სიუჟეტი და გამოაქვეყნოს შესაბამისი ახსნა განმარტება, წაშალოს ი.ჯანჯღავას შეურაცხმყოფელი შემავიწროებელი, სიძულვილის ენის შემცველი კომენტარები და ი.ჯანჯღავას მორალური რეაბილიტაციის მიზნით ბოდიში მოიხადოს ი.ჯანჯღავას მიმართ ინტენსიური დამამცირებელი მობყრობის გამო, რაც გამოიხატა მაუწყებლის გადაცემის აქ აღნიშნულ სოცქსელებში მუდმივ განთავსებაში, რომელსაც თან ახლევას შეურაცხმყოფელი, სიძულვილის ენის და მუქარის შემცველი, მათ შორის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის მუქარის შემცველი კომენტარები, მაშინ როდესაც გადაცემის პოსტის ავტორი არანაირ ღონისძიებას არ ანხორციელებს მისი შესაძლებლობის ფარგლებში აღნიშნული ადამიანის უფლების დარღვევის აღმოსაფხვრელად, რაც შესაძლოა შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებსაც.

დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი ?სააპელაციო საჩივარი სააპელაციო ორგანოს გადაეცა განსახილველად. 2024 წლის 22 აპრილს კომისიამ ზეპირი მოსმენის ფორმატში შეისწავლა მხარეთა მოსაზრებები და იმსჯელა წარმოდგენილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით.

სააპელაციო ორგანომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა რამდენიმე გარემოებაზე:

- განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ქალბატონ ირმა ჯანჯღავას შესახებ სიუჟეტის წარდგენა ტენდენციური იყო. პოლონეთში მოქმედ საშუამავლო კომპანიაზეა მომზადებულ მასალაში, აღნიშნულია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში კომპანიამ არ გადაუხადა კუთვნილი თანხა მომვლელებს. ამ პროცესის ერთ-ერთი ფიგურანტია ქალბატონი ირმა ჯანჯღავა.
- განმცხადებელი ?აზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გადაცემის წამყვანი ნოდარ მელაძე სიუჟეტის წარდგენისას აცხადებს ირმა ჯანჯღავასგან მიღებული შეტყობინებების შესახებ, რომ განსახილველი პრობლემა ხელფასების გაუცემლობაზე მისი კომპეტეცია არაა, რაიმე გავლენის მომხდენი უფლებამოსილება მას არ გააჩნია.
- დაინტერესებულ მხარეს მიაჩნია, რომ "ჟურნალისტმა ი.ჯანჯღავას რეპუტაციის შემლახველი ბრალდებით ტელეფონით მიმართ ქ.სენაკში მცხოვრებ მის ძმას, რომელსაც საერთოდ შემხებლობა არა აქვს ამ საქმესთან. შედეგად, ტელეფონის ზარით სანახევროდ გაღვიძებული და მოულოდნელი საბრალდებო თავდასხმით გამწარებული ძმისგან ჟურნალისტმა მიიღო უწმაწური შეპასუხება."
- განმცხადებლის შეფასებით, სარედაქციო გუნდის გადაწყვეტილება ქალაქ სენაკში ჩასვლის და ოჯახის წევრების მონახულების შესახებ, პროვოკაციულია.
- განმცხადებლის მტკიცებით, ქალბატონი ირმა ჯანჯღავა პოლონურ კომპანიაში რიგითი დაქირავებული თანამშრომელია და არ წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირს. ის კომპანიის თხოვნით, აკავშირებდა ენის უცოდინარ ქართველ

დასაქმებულებს გერმანულ ოჯახებთან და სარგებლის გარეშე ეხმარებოდა თანამემამულეებს დასაქმების ოჯახთან ურთიერთობაში.

- განმცხადებლის ზეპირი განცხადებით, დასაქმებულები, რომლებიც ირმა ჯანჯღავასთან კონტაქტობდნენ და კომპანიისგან ანაზღაურების პრობლემა ჰქონდათ, არაუმეტეს 5 ადამიანია. ობიექტურად გასაგებია, რომ ამ პიროვნებებს ენის უცოდინარობის გამო შესაძლოა ხშირი კომუნიკაცია ქონოდათ ი.ჯანჯღავასთან, მაგრამ არაფრით არ ნიშნავს ეს იმას, რომ ი.ჯანჯღავას რაიმე კომპეტენცია, უფლებამოსილება გააჩნია დასაქმებულების ანაზღაურების აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით.
- სიუჟეტის ავტორის მტკიცებით, მან ამოწურა ყველა რესურსი საკითხის სრულყოფილად გაშუქების მიზნით;
- საგამოძიებო ჯგუფი დეტალების დასაზუსტებლად გაემგზავრა ქალაქ სენაკში, თუმცა ვერ შეძლო თავისუფლად მუშაობა;
- ყაროთა დაცვის მიზნით, ჟურნალისტი მოკლებულია შესაძლებლობას სხვა დამატებითი დეტალები გაასაჯაროვოს დაზარალებული ემიგრანტი ქალების შესახებ.

ზეპირი მოსმენის გამართვის შემდეგ, სააპელაციო ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთების თარიღი გაზარდა 2024 წლის 10 მაისის ჩათვლით, რაც ეცნობათ მხარეებს.

სამოტივაციო ნაწილი

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მედიის საქმიანობის მთავარი გარანტიაა. გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის შესაძლებლობებს ეთმობა არაერთი შიდა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტი. აღნიშნული ინსტრუმენტი მათ შორის, დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით.

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას მაუწყებლის თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმი მოიცავს მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს და მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს.

მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება ქცევის კოდექსით დადგენილი წესით საჩივრდება მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში, რომელსაც ქმნის მაუწყებელი ან მაუწყებელთა გაერთიანება და რომელიც ფუნქციონირებს ქცევის კოდექსის შესაბამისად. მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს წევრები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები ან პოლიტიკური პარტიის წევრები. მათ არ უნდა ჰქონდეთ მიღებული მონაწილეობა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში. მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანო დაკომპლექტებული უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით.

დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, ამ კანონის 552 მუხლის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს კომისიაში.

მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების (გარდა ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმებისა), აგრეთვე სალიცენზიო პირობებისა და ავტორიზაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მიმართოს კომისიას.

მაუწყებლის მიერ ამ კანონის 52-ე, 54-ე, 56-ე და 59-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევაზე რეაგირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში.

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 52-ე მუხლი ეთმობა ფაქტის ჯეროვანი სიზუსტეს და პასუხის უფლებას:

1. მაუწყებელი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა პროგრამაში მოყვანილი (გადაცემული) ფაქტის ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და დროულად შეასწოროს შეცდომა.
2. დაინტერესებულ პირს, რომლის კანონიერი ინტერესები, კერძოდ, რეპუტაცია და სახელი, შეილახა მაუწყებლის პროგრამაში არასწორი (მცდარი) ფაქტის მოყვანით (გადაცემით), აქვს პასუხის უფლება ამ მუხლით დადგენილი წესით.
3. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, საწყისი განცხადების გაკეთებიდან (მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან) 10 დღის ვადაში შესაბამის მაუწყებელს მოსთხოვოს, მისცეს მას შესაძლებლობა, თავად უზრუნველყოს საწყის განცხადებაში მოყვანილი არასწორი (მცდარი) ფაქტის შესწორება ან უარყოფა მაუწყებლის ეთერში თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით, საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც საწყისი განცხადება გაკეთდა.
4. მაუწყებელი უფლებამოსილია პირს უარი უთხრას პასუხის უფლებაზე, თუ:

ა) ფაქტის შესწორების ან უარყოფის მოთხოვნა საწყისი განცხადების გაკეთებიდან 10 დღის ვადაში არ ყოფილა წარდგენილი;

ბ) საწყისი განცხადება პირთა განუსაზღვრელ წრეს ეხება ან მომჩივანი განცხადებაში ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებული არ არის;

გ) ფაქტის შესწორებას ან უარყოფას საწყის განცხადებასთან პირდაპირი კავშირი არ აქვს, ან ფაქტის შესწორების ან უარყოფის ზომა, ფორმა და შინაარსი სცდება საწყის განცხადებაში მოყვანილი ფაქტის თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით შესწორებისთვის ან უარყოფისთვის აუცილებელ ფარგლებს, ან ხდება საწყის განცხადებაში გამოთქმული აზრის და არა მასში მოყვანილი ფაქტის შესწორება ან უარყოფა;

დ) ფაქტის შესწორება ან უარყოფა გამოიწვევს მაუწყებლისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის

დაკისრებას, შეიცავს ცილისწამებას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის ნიშნებს ან უხამსობას;

ე) ფაქტის შესწორება ან უარყოფა უსაფუძვლოდ ეხება მესამე პირს;

ვ) მომჩივანი თავის კანონიერ ინტერესს ვერ ასაბუთებს.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხის უფლება არსებობს მხოლოდ მაუწყებლის პროგრამაში არასწორი (მცდარი) ფაქტის მოყვანის (გადაცემის) შემთხვევაში და არ ვრცელდება მოსაზრების/შეხედულების გადაცემაზე.

6. პასუხის უფლებაზე მაუწყებლის უარი შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში ან სასამართლოში.

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 54-ე მუხლი ეთმობა სამართლიანობის და მიუკერძოებლობის საკითხებს:

1. მაუწყებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება, ფაქტისა და აზრის მკაფიო გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება.

2. მაუწყებლები ვალდებული არიან ახალი ამბების პროგრამებში უზრუნველყონ ფაქტებთან და მოვლენებთან დაკავშირებული ყველა საგულისხმო განსხვავებული აზრის სათანადოდ წარმოჩენა რომელიმე ჯგუფისა თუ აზრის დისკრიმინაციის გარეშე.

დაინტერესებული პირის განაცხადის გათვალისწინებით, კომისიამ შეაფასა რამდენად დაირღვა ჯეროვანი სიზუსტით მუხლი და გავრცელდა სავარაუდოდ გამიზნული, ცალმხრივი, ცრუ ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა იყოს ასევე პატივისა და ღირსების შემლახავი გარემოება.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი სადავოდ მიიჩნევს დროის ქრონომეტრაჟს და მიუღებლად მიაჩნია ჯანჯღავას ძმის უწმაწური ლექსიკის გამოქვეყნების გადაწყვეტილება.

სააპელაციო ორგანომ დეტალურად განიხილა საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, თანდართული მტკიცებულებები და სადავო მასალა, ასევე გაეცნო როგორც დაინტერესებული მხარის წარმომადგენლის, ისე სიუჟეტის ავტორის მოსაზრებებსა და არგუმენტებს.

სააპელაციო ორგანო მიიჩნევს, რომ დაინტერესებული პირის ინტერესების დაცვისა და საკანონმდებლო ჩანაწერის გათვალისწინებით საჩივარში დასახელებული თითოეული მოთხოვნა ინდივიდუალურად და პუნქტობრივად უნდა შეფასდეს:

მოთხოვნა #1: "ტელეკომპანია პირველის" ჟურნალისტური გამოძიების „ნოდარ მელაძის შაბათი" 28.10.2023 წ., მასალასთან „ტრეფიკინგის მსხვერპლი ქართველები" დაკავშირებით, "ტელეკომპანია პირველის" თვითრეგულირების 13.12.2023 წ. კრების ოქმის #11, გადაწყვეტილების ბათილობა (გაუქმება).

თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება პირველ მოთხოვნასთან მიმართებით: არ დაკმაყოფილდეს.

მოთხოვნა #2: მაუწყებლის თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოს სხდომის გამართვამდე შეთანხმდეს სამომრიგებლო (სამედიაციო) შეხვედრის პირობები მხარეთა შორის და ჩატარდეს სამომრიგებლო შეხვედრა მხარეთა შორის. ხოლო ამ საჩივრის ჩაბარებიდან 1 კვირის განმავლობაში შეთანხმებისა და/ან მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში, თვითრეგულირების სააპელაციო ორგანომ დაუყოვნებლივ განიხილოს ეს სააპელაციო საჩივარი.

თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება მეორე მოთხოვნასთან მიმართებით: მოთხოვნა დაკმაყოფილებულია - სააპელაციო საჩივარი თვითრეგულირების ფორმატში განხილვა შედგა.

მოთხოვნა #3:

- "ტელეკომპანია პირველმა" შეასწოროს სრულად ინტერნეტსივრცეში და მათ შორის, იუთუბის სოცქსელში ცრუ ინფორმაციის შემცველი სიუჟეტი და გამოაქვეყნოს შესაბამისი ახსნა განმარტება
- წაშალოს ი.ჯანჯღავას შეურაცხმყოფელი შემავიწროებელი, სიძულვილის ენის შემცველი კომენტარები
- ი.ჯანჯღავას მორალური რეაბილიტაციის მიზნით ბოდიში მოიხადოს ი.ჯანჯღავას მიმართ ინტენსიური დამამცირებელი მოპყრობის გამო, რაც გამოიხატა მაუწყებლის გადაცემის აქ აღნიშნულ სოცქსელებში მუდმივ განთავსებაში, რომელსაც თან ახლავს შეურაცხმყოფელი, სიძულვილის ენის და მუქარის შემცველი, მათ შორის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის მუქარის შემცველი კომენტარები, მაშინ როდესაც გადაცემის პოსტის ავტორი არანაირ ღონისძიებას არ ანხორციელებს მისი შესაძლებლობის ფარგლებში აღნიშნული ადამიანის უფლების დარღვევის აღმოსაფხვრელად, რაც შესაძლოა შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებსაც.

თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილება მესამე მოთხოვნასთან მიმართებით: მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს. კერძოდ, მიეცეს რეკომენდაცია "ტელეკომპანია პირველს" იხელმძღვანელოს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ შემუშავებული მაღალი სტანდარტით და მოკლე ვადებში (ერთი თვე) შექმნას ონლაინ კომენტარების ფილტრაციის შიდა წესები.

სააპელაციო ორგანო ითვალისწინებს, რომ ონლაინ სივრცეში პოზიციონირება და კომენტარები მედიაგამოცემების საქმიანობის ნაწილია და აუდიტორიასთან ინტერაქციის მნიშვნელოვან ფუნქციად ითვლება, თუმცა, ეს ფუნქცია შესაძლოა განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცეს სიძულვილის გამოხატვის, პერსონალური თავდასხმებისა თუ შეურაცხყოფის გამო. ამ დროისთვის არსებული პრაქტიკით, მედიაორგანიზაციების ნაწილი კომენტარების განყოფილების მოდერაციაში უზარმაზარ რესურსსა და დროს ხარჯავს, ნაწილი კი საერთოდ აუქმებენ ამ შესაძლებლობას. მიეცეს რეკომენდაცია "ტელეკომპანია პირველს" შექმნას სპეციალური წესები ონლაინ სივრცეში სიძულვილის ენის წახალისების შესაჩერებლად. ამასთან, მიღებული წესების შესაბამისად, კიდევ ერთხელ შეისწავლოს დაინტერესებული პირის მიერ სადავო მასალად მიჩნეულ ლინკებზე კომენტარების ველი.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების შეჯერების შედეგად, სააპელაციო ორგანომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. შპს „ტელეკომპანია პირველის" თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში დაინტერესებული პირის, ირმა ჯანჯღავას (პ/ნ. 39001024459) წარმომადგენლის, ადვოკატ ბესარიონ ბოჭორიშვილის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. კომისიის გადაწყვეტილება “მაუწყებლის შესახებ” საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში ან სასამართლოში.

ნათია კაკაბაძე

გიორგი მშვენიერაძე

ანნა ლაპიაშვილი